

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეცენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა და პროტოკოლების თაობაზე

მიოკარდიუმის ინფარქტი ST -სეგმენტის ელევაციის გარეშე/არასტაბილური სტენოკარდია

და

მიოკარდიუმის ინფარქტი ST -სეგმენტის ელევაციით

ნაციონალური გაიდლაინები

და

პროტოკოლები

I. ზოგადი კომენტარები

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მიოკარდიუმის ინფარქტის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა, ამ პრობლემის ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობისა და მისი მართვისთვის დაუყოვნებელი და სწორი მოქმედების მნიშვნელობის გათვალისწინებით უდავოდ საშური საქმეა.

გაიდლაინი გვათავაზობს მიოკარდიუმის ინფარქტის მართვის კონკრეტულ სქემას, რაც სცილდება პირველადი ჯანდაცვის დონის შესაძლებლობებსა და პერსონალის კომპეტენციას, ამდენად წარმოდგენილი რეკომენდაციების თაობაზე სპეციფიკური კომენტარისაგან თავს შევიკავებთ.

პჯდ ექიმებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა რეკომენდაციები გულის კორონარული დაავადების რისკის შეფასების თაობაზე. ამ მიმართულებით კლინიკური პრაქტიკის გაუმჯობესება ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. პჯდ ქსელში არსებული რესურსით სავსებით შესაძლებელია გულის კორონარული დაავადების რისკის შეფასება და ამის თაობაზე პაციენტის კონსულტირება. ეს საკითხი სრულად და ნათლადაა გაშუქებული.

გაიდლაინის სტრუქტურა

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი (ცხრილები, სქემები) ინფორმაცია მართვისა და მკურნალობის გზების თაობაზე, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

გაიდლაინის შინაარსი

შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია მსოფლიოში ჩატარებული სარწმუნო კვლევების შედეგები, რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულოს მითითებული რეკომენდაციები. მითითებულია მტკიცებულებების ხარისხი.

პროტოკოლები

წარმოდგენილი პროტოკოლები ძირითადად ითვალისწინებს დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) ფორმა №2-ის მოთხოვნებს. პროტოკოლების კარგად სტრუქტურირებულია, ამდენად იოლი უნდა იყოს მათი პრაქტიკული გამოყენება.